ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N39

2022 წლის 21 აპრილი
ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N24 განკარგულებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში (ხარისთვალზე) მდებარე 42 135 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.11.31.755).

2. ქალაქ ამბროლაურში, მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ 40 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.19.21.252).

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზნაკვაში მდებარე 75 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ: 86.06.25.152).

4. შავი ლითონი 0.25 ტონა.